



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის  
აქტი

№ 13/00

„ 9 „ ივნისი 2011

ქ. თბილისი

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ოლია ბოგდოვაძე

9 ივნისი

„-----“ 2011 წელი

ეგზ. N2

სააქციო საზოგადოება "მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა  
ცენტრალური საავადმყოფოს" ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის  
შედეგების შესახებ

შინაარსი/საძიებელი

|                                                                                                                    |        |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|
| ნაწილი I - შესავალი .....                                                                                          | გვ. 3  |
| ნაწილი II - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები .....                                                                   | გვ. 4  |
| ნაწილი III – ძირითადი ტექსტი .....                                                                                 | გვ. 5  |
| 1. ბიზნეს-გეგმების შედგენის და შესრულების მდგომარეობა .....                                                        | გვ. 5  |
| 2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა .....                                                               | გვ. 6  |
| 2.1. სამედიცინო შემოსავლები .....                                                                                  | გვ. 6  |
| 2.2. არასამედიცინო შემოსავლები .....                                                                               | გვ. 13 |
| 3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა .....                              | გვ. 14 |
| 4. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან ...                                                       | გვ. 16 |
| 5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვის და განკარგვის მდგომარეობა .... | გვ. 18 |
| 6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან                                                        | გვ. 20 |
| ნაწილი IV - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, მასზე შენიშვნების და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა და წესი .....  | გვ. 21 |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები .....                                                                          | გვ. 22 |



### შესავალი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 9 აგვისტოს N 80/43 და 25 ოქტომბრის N 92/43 ბრძანებები.

აუდიტის ჯგუფის წევრები - აუდიტორები ქეთევან ზოზიაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ქართლოს სახვადე, მირიან ჯორჯიაშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

სააქციო საზოგადოება "მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს" - საქართველო, ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, ტელეფონი 529034, 530033, ფაქსი (995 32) 529034.

### შემოკლებანი:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - სამინისტრო
2. სააქციო საზოგადოება "მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო" - საავადმყოფო
3. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო - სააგენტო
4. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესი - წესი.

### საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“ შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი დამფუძნებელი და აქციონერია სახელმწიფო საწესდებო კაპიტალში 3 388,6 ათასი ლარის არაფულადი შენატანით.

საავადმყოფოს ძირითადი საქმიანობაა: სამედიცინო პროფილით მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა: სამკურნალო დახმარება, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები, სამედიცინო პროფილაქტიკა, მედპერსონალისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება. საავადმყოფო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე. საავადმყოფო ემსახურება საქართველოს ყველა რეგიონს.



საავადმყოფოს მთავარ მიზანს წარმოადგენს აწარმოოს მაღალი ხარისხის ადექვატური, ეფექტიანი სამედიცინო მომსახურება.

2008 წელს საავადმყოფოში სულ გატარდა 21019 სტაციონარული და 24648 ამბულატორიული პაციენტი, ხოლო 2009 წელს - 19155 სტაციონარული და 37391 ამბულატორიული პაციენტი. 2008 წელს გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობაა 208, ლეტალობის მაჩვენებელია 0.99%. 2009 წელს გარდაცვლილია 180 პაციენტი, ლეტალობის მაჩვენებელი - 0.94%.

## ნაწილი II - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

### 1. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში თანხების არასწორად მოთხოვნა:

1.1. საავადმყოფომ 2008-2009 წლებში ბავშვთა სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში სააგენტოსგან არასწორად მოითხოვა 37,9 ათასი ლარი.. გვ. 9

1.2. შიდა ქართლის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის ქვეკომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ფარგლებში სააგენტოდან ჩაირიცხა 99,0 ათასი ლარი, საავადმყოფოს მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ კი მხოლოდ 38,4 ათასი ლარი შეადგინა ..... გვ. 10

### 2. საიჯარო ხელშეკრულებების პირობების დარღვევა:

რიგ შემთხვევებში მოიჯარეების მიერ დარღვეულია საიჯარო ხელშეკრულების პირობები. მათზე დასაკისრებელი პირგასამტეხლო შეადგენს 5,8 ათას ლარს .... გვ.14

### 3. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები:

სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შერჩევითი საკონტროლო აზომვების შედეგად გამოვლენილი ზედმეტად ნაჩვენები შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება 49,3 ათას ლარს შეადგენს, რაც შემონმშებული მოცულობის 11.32%-ია ..... გვ. 15

### 4. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შეუსაბამობა:

4.1. საავადმყოფოს ყოფილი ადმინისტრაციული ბლოკის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ჩატარდა ტენდერი 1200,0 ათას ლარზე. ტენდერში არასწორი საბუთების გამო დისკვალიფიკაციის ნაცვლად გამარჯვებულად იქნა მიჩნეული შ.პ.ს. „არტესი“ ..... გვ. 17

4.2. აღნიშნულ ტენდერზე წინადადებები წარმოადგინა ორმა ორგანიზაციამ: შ.პ.ს. „არტესმა“ და შ.პ.ს. „გზა-2002“-მა. ორივე ორგანიზაციის დამფუძნებლები ერთი და იგივე ფიზიკური პირები არიან. ფაქტიურად შეიქმნა ხელოვნური კონკურენცია .... გვ. 17

### 5. მომწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:



5.1. საქონლის ვადაში მიუწოდებლობის გამო საავადმყოფოს პირგასამტეხლო არ დაურიცხავს მიმწოდებლებისათვის, რამაც 2008-2009 წლებში 28,8 ათასი ლარი შეადგინა ..... გვ. 18

5.2. საავადმყოფო მიმწოდებლებს თანხებს ურიცხავს ავანსად, რაც ხელშეკრულების პირობებით არ არის გათვალისწინებული. ავანსის სახით ჯამში გადარიცხულია 5,7 ათასი ლარი ..... გვ. 18

### ნაწილი III – ძირითადი ტექსტი

#### 1. ბიზნეს-გეგმების შედგენის და შესრულების მდგომარეობა

1. საავადმყოფო საქმიანობას წარმართავს განვითარების ბიზნეს-გეგმებით. საგეგმო წლის ბიზნეს-გეგმების პროექტების შემუშავება და სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოში წარდგენა უნდა მოხდეს მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში<sup>1</sup>. საავადმყოფოს 2008 წლის ბიზნეს-გეგმა წარდგენილი აქვს 2008 წლის 4 მაისს, ხოლო 2009 წლის ბიზნეს-გეგმა - 2009 წლის 2 ივნისს. ორივე შემთხვევაში ბიზნეს-გეგმები სააგენტოში წარდგენილია დაგვიანებით. მიღებული განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მოცულობების საგეგმო წლის II-III კვარტალში დამტკიცებით.

2. ბიზნეს-გეგმების მიხედვით საპროგნოზო მაჩვენებლები შემდეგნაირად განისაზღვრა:

| მაჩვენებლები     | 2008 წელი | 2009 წელი |
|------------------|-----------|-----------|
| შემოსავლები      | 9269.8    | 8787.8    |
| ხარჯები          | 9029.4    | 8713.6    |
| საბალანსო მოგება | 240.3     | 74.1      |
| წმინდა მოგება    | 204.3     | 63.0      |

ბიზნეს-გეგმების ზოგიერთ მუხლში მოსალოდნელი შემოსავლების მოცულობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული წინა საბაზისო წელთან შედარებით, ხოლო მოსალოდნელი ხარჯები გაზრდილია მაქსიმალურად, რაც იწვევს არარეალური საპროგნოზო წმინდა მოგების განსაზღვრას:


|                                          | 2007 წ.ფ. | 2008 წ.გ. | 2008 წ.ფ. | 2009 წ.გ. | 2009 წ.ფ. |
|------------------------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| ფთიზიატრიის პროგრამა                     | 27.0      | 13.4      | 17.7      |           |           |
| შიდა სტანდარტით სტაციონალური მომსახურება | 225.0     | 100.0     | 480.0     |           |           |
| შენობების პროექტირება და კვლევა          | 9.0       | 90.0      | 21.0      |           |           |

<sup>1</sup> სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის ბრძანება #1-3/117

|                                                             |     |        |        |      |      |
|-------------------------------------------------------------|-----|--------|--------|------|------|
| ბანკის მომსახურებასა და კრედიტით სარგებლობის პროცენტი       | 1.7 | 80.0   | 3.0    |      |      |
| იძულებით გადაადგილებულ პირებზე გასაცემი კომპენსაცია         |     | 1400.0 | 1002.0 |      |      |
| საკონსულტაციო, იურიდიული და აუდიტორული მომსახურების ხარჯები |     |        | 8.0    | 25.0 | 18.0 |
| მივლინების ხარჯები                                          |     |        | 1.2    | 25.0 | 17.3 |

## 2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა

2008 წელს საავადმყოფოს შემოსავალმა შეადგინა 11 976,4 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს - 9 811,6 ათასი ლარი. საავადმყოფოს შემოსავლები შედგება სამედიცინო და არასამედიცინო შემოსავლებისგან:



### 2.1. სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო შემოსავლები მიიღება სახელმწიფო და სხვა პროგრამებიდან, ასევე შიდა სტანდარტებით მკურნალობიდან, რომელსაც ანაზღაურებენ სადაზღვევო კომპანიები და ფიზიკური პირები. სამედიცინო შემოსავლები მოცემულია ცხრილის სახით:


| # | სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობით მიღებული შემოსავლები                                                                | 2008 წ. | 2009 წ. |
|---|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| 1 | ბავშვთა დახმარების პროგრამა                                                                                             | 3,769.5 | 2,502.7 |
| 2 | სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა - გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება, | 31.9    |         |



|    |                                                                                                                                             |         |         |
|----|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| 3  | სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ბავშვთა სამედიცინო დახმარების პროგრამა           | 159.3   |         |
| 4  | სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა და დიაგნოსტიკა | 1.1     |         |
| 5  | ონკოჰემატოლოგიის პროგრამა                                                                                                                   | 1,142.3 | 1,086.9 |
| 6  | გადაუდებელი დახმარების პროგრამა                                                                                                             | 449.6   | 264.8   |
| 7  | ფთიზიატრიის პროგრამა                                                                                                                        | 18.2    | 8.4     |
| 8  | ფსიქიატრიის პროგრამა                                                                                                                        |         | 24.6    |
| 9  | რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა                                                                                                 | 180.2   | 428.3   |
| 10 | ანტირაბიული პროგრამა                                                                                                                        |         | 2.2     |
| 11 | იძულებით გადაადგილებულ 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების კომპონენტი                                                          |         | 99.0    |
| 12 | ფელინკტონურიის პროგრამა                                                                                                                     | 33.9    | 32.7    |
| 13 | ჰემოდიალიზის პროგრამა                                                                                                                       | 765.6   | 1,050.9 |
| 14 | ნეიროონკოლოგიის პროგრამა                                                                                                                    | 11.2    |         |
| 15 | ამბულატორიული და შიდა სტანდარტით მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები                                                                         | 1,062.8 | 2,622.0 |

შიდა სტანდარტებით მკურნალობის დროს ადგილი ჰქონდა პაციენტების მხრიდან მკურნალობის თანხების გადაუხდელობას სხვადასხვა მიზეზის გამო, რაზედაც ექიმის მიერ გაფორმებულია შესაბამისი აქტები ან საპატრულო პოლიციის თანდასწრებით შედგენილია ოქმები. 2008 წელს პაციენტების მიერ გადაუხდელობა თანხამ **39,0 ათასი**, ხოლო 2009 წელს **148,5 ათასი** ლარი შეადგინა.

სახელმწიფო პროგრამებიდან და შიდა სტანდარტით მკურნალობიდან მიღებული შემოსავლებია:





სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად ტენდერების საფუძველზე სააგენტოსა და საავადმყოფოს შორის ფორმდება ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე. იმის გამო, რომ სამინისტროს მიერ პროგრამები მტკიცდება მიმდინარე წლის მარტ-აპრილის თვეებში და ხშირად უფრო გვიანაც, ტენდერები ტარდება წლის ბოლოს, ხოლო ტენდერის ჩატარებამდე წლის დასაწყისში სააგენტოსა და საავადმყოფოს შორის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების უწყვეტი განხორციელების მიზნით იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება სამედიცინო მომსახურებისა და ანაზღაურების პირობები, ხშირ შემთხვევაში წინა წლის პირობების მიხედვით.

პროგრამული პაციენტის მკურნალობა ტარდება სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი ფასებით. ყოველი თვის დამთავრების შემდეგ სააგენტოში იგზავნება ინფორმაცია განსაზღვრული ფორმითა და დოკუმენტებით. შესრულებულ სამუშაოზე სააგენტოსა და საავადმყოფოს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც ხდება სააგენტოდან თანხის ჩარიცხვა. სხვადასხვა პროგრამისთვის დადგენილია ანაზღაურების სხვადასხვა სახე: არაუმეტეს განსაზღვრული თანხისა, შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით და გლობალური ბიუჯეტით.

2008-2009 წლებში საავადმყოფოს სამედიცინო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულია სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობიდან. პროგრამების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს სააგენტო პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემების შესწავლის საფუძველზე. ინსპექტირება შეიძლება განხორციელდეს როგორც ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგაც. ინსპექტირებას ექვემდებარება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ყოველი შემთხვევის ამსახველი პირველადი სამედიცინო დოკუმენტი. ამ დოკუმენტების საფუძველზე ხდება ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოთხოვნილი თანხის დადგენა და სააგენტოში დასაბრუნებელი თანხის დაანგარიშება.

2009 წლის ბოლოს სააგენტომ ჩაატარა ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება (25.12.2009 აქტი #11-090), საინსპექციო პერიოდი განისაზღვრა 2006 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე. ინსპექტირების შედეგად, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, გამოვლინდა სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენი თანხა 38,7 ათასი ლარი. თუმცა საავადმყოფოსა და სააგენტოს შორის 2009 წლის 26 იანვარს გაფორმებული #112902გ ურთიერთშედეგების აქტის თანახმად, სააგენტოს დავალიანება საავადმყოფოს მიმართ შეადგენდა 694,5 ათას ლარს და საავადმყოფომ მოითხოვა ბიუჯეტში აღსადგენი თანხის დავალიანებიდან გამოქვითვა (წერილი #200/04, 26.02.2010).



2008-2009 წლებში საავადმყოფოს მიერ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისას გამოვლენილი იქნა შემდეგი დარღვევები:

1. ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტი:

1.1. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2008 წლის იანვარში 14 შემთხვევაში აღდილი ჰქონდა ნოზოლოგიის ღირებულების არასწორად მოთხოვნას. ნოზოლოგიის კოდი ითვალისწინებდა 200 ლარს, მოთხოვნილ იქნა 748 ლარი, რამაც ჯამში 7,7 ათასი ლარი შეადგინა.

1.2. 2008 წელს 23 შემთხვევაში პაციენტი რეჰოსპიტალიზებული იყო ერთი და იგივე ნოზოლოგიით, რის გამოც სააგენტოსგან დამატებით მოთხოვნილია 13,8 ათასი ლარი, ხოლო ორ შემთხვევაში პაციენტი გაგაძე ნიკოლოზი (ისტორიის #3164, 3851, 4501, 2008 წლის მარტი, 22.02-01.03, 03.03-10.03, 13.03-18.03) და პაციენტი ბერდელიძე მარიამი (ისტორიის #12439, 15726, 16987 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერი 22.07-09.09, 29.09-03.10, 19.10-31.10) სამჯერ კრიტიკული დიაგნოზით იქნა ნამკურნალევი.

1.3. 2009 წელს პაციენტის რეჰოსპიტალიზაციას ერთი და იგივე ნოზოლოგიით აღდილი ჰქონდა 24 შემთხვევაში და სააგენტოსგან მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა დამატებით 6,7 ათასი ლარი. წესის მიხედვით, მიმწოდებელმა არ უნდა მოითხოვოს შემსყიდველისაგან თანხა იმ მომსახურებისათვის და სააგენტოს მიერ არ დაფინანსდება შემთხვევები, თუ ბენეფიციარი სტაციონარიდან განერის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში იგივე დიაგნოზით ან მისი გართულებით განმეორებით მოთავსდა იმავე სამედიცინო დაწესებულებაში და აღმოჩნდა, რომ რეჰოსპიტალიზაცია წინა პერიოდში ჩატარებული არასრული ან/და უხარისხო მკურნალობის შედეგია. ასეთ შემთხვევაში მკურნალობის ღირებულება სრულად ანაზღაურდება დაწესებულების მიერ პაციენტისგან ყოველგვარი თანაგადახდისა და დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

1.4. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს მკურნალობა ჩაუტარდება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ნოზოლოგიური ჯგუფებიდან ორი ან მეტი ძირითადი დიაგნოზით, დაწესებულებამ თანხა უნდა მოითხოვოს ერთ-ერთი ნოზოლოგიური ჯგუფის საშუალო ღირებულებით, ხოლო მეორე ნოზოლოგიური ჯგუფით - ფაქტიურად გაწეული ხარჯი, მაგრამ არაუმეტეს ღონისძიებათა ნოზოლოგიური ჯგუფისათვის დადგენილი საშუალო ღირებულების 50%-ისა. საავადმყოფოს მიერ სააგენტოსგან მეორე ნოზოლოგიური კოდით 50%-ის ნაცვლად 100%-ით მოთხოვნილმა თანხამ 2008 წელს 0,64 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს 0,56 ათასი ლარი შეადგინა.

1.5. ამავე წესის მიხედვით, პროგრამული პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულება მოითხოვს გაწეული ფაქტიური ხარჯის ანაზღაურებას, მაგრამ



არაუმეტეს სააგენტოს ასანაზღაურებელი თანხისა (2007 წლის წესი, რომელიც გაგრძელდა 2008 წელს). მიუხედავად ამისა, 2008 წელს გარდაცვლილ პაციენტებზე, წარმოდგენილი ინფორმაციით, 51,9 ათასი ლარის ნაცვლად მოთხოვნილია 59,2 ათასი ლარი, 7,3 ათასი ლარით მეტი.

1.6. შემონმბეულ იქნა სააგენტოსგან მოთხოვნილი თანხები 2008-2009 წლებში კრიტიკული დიაგნოზით საავადმყოფოში მოთავსებულ იმ პაციენტებზე, რომლებიც საავადმყოფოდან შემოსვლის დღესვე იქნენ განერილი. აღნიშნული პაციენტები განერილნი არიან სხვა საავადმყოფოში სამკურნალოდ ან მშობლის პირადი პასუხისმგებლობით (ხელწერილით). ერთ შემთხვევაში (პაციენტი ბლიაძე სანდრო, ისტორიის #627, 2008 წლის იანვარი) 40 ლარის ნაცვლად, რასაც ითვალისწინებდა გადაუდებელი დახმარების პროგრამა, მოთხოვნილია 1234 ლარი.

### რეკომენდაცია:

საავადმყოფომ დაიცვას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის მოთხოვნები და, შესაბამისად განსაზღვროს სააგენტოს მიერ ასანაზღაურებელი თანხები.

2. შიდა ქართლის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის ქვეკომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება:

ამ კომპონენტით ანაზღაურება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის წესის შესაბამისად. მოცემული პროგრამის ტენდერში მისაღებად საავადმყოფოს სატენდერო წინადადების ტექნიკურ დავალებაში აღნიშნულია, რომ მომსახურება ჩატარდება დანესებულების ბაზაზე და შიდა ქართლიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. შესყიდვის ობიექტი უნდა განხორციელდეს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების მთლიანი მოცულობის შესრულებით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში კი მითითებულია, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის (3.3.1.2.).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა



კომპაქტურად დასახლებული 39 ადგილია, ხოლო მათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 0-5 წლამდე ასაკის 1466 პირი.

საავადმყოფოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით საავადმყოფომ 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამედიცინო მომსახურება გაუწია სულ 237 პაციენტს, მცხეთის რაიონის სოფელ ფრეშეთში და წეროვანში ჩასახლებულ დევნილებს, განუღმა ხარჯმა კი შეადგინა 19,0 ათასი ლარი.

ღირექტორის ახსნა-განმარტებით, 2009 წლის 3 მარტს გაიხსნა გლობალური განვითარების ცენტრი, რომელსაც უნდა განეხორციელებინა აღნიშნული პროგრამა. ცენტრის გახსნა და პროგრამის პრეზენტაცია გაუქდა მასმედიით. ამ პერიოდიდან საავადმყოფოს მომართეს პაციენტებმა და მათ გაეწიათ შესაბამისი მომსახურება. რადგან ხელშეკრულება სააგენტოსა და საავადმყოფოს შორის ამ პროგრამაზე გაფორმდა მხოლოდ 2009 წლის 30 ოქტომბერს, სააგენტოში წარდგენილ ინფორმაციაში არ ასახულა ოქტომბრის თვემდე შესრულებული სამუშაო, რომელმაც, დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით, მხოლოდ 19,4 ათასი ლარი შეადგინა.

მიუხედავად აღნიშნულისა, საავადმყოფოს მიერ ამ პროგრამის ფარგლებში განუღმა ხარჯმა 38,4 ათასი ლარი შეადგინა მაშინ, როდესაც სააგენტოდან ჩარიცხულია 99,0 ათასი ლარი.

**რეკომენდაცია:**

გლობალური ბიუჯეტის წესის შესაბამისად ანაზღაურებული პროგრამების განხორციელებისას საავადმყოფომ მაქსიმალურად მიზნობრივად აითვისოს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება.

2008-2009 წლებში საავადმყოფო ქვეკონტრაქტორი იყო შემდეგ სახელმწიფო პროგრამებში:

1. ფენილკეტონურიის (შ.პ.ს. „ექსპრესდიაგნოსტიკის“ ქვეკონტრაქტორი), რომელიც მოიცავს ფენილკეტონურიითა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ ბავშვთა სამედიცინო დახმარებას. ანაზღაურება ხდებოდა ფაქტიური ხარჯის მიხედვით. 2008 წელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 33,9 ათასი ლარი, სააგენტოდან ჩარიცხულია - 29,2 ათასი ლარი, 2009 წელს, შესაბამისად, 32,7 ათასი და 32,3 ათასი ლარი.
2. მოსახლეობის დიალიზით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტის მიხედვით მოსახლეობის ჰემო და პერიტონეული დიალიზსა და თირკმლის ტრანსპლანტაციას (2008 წლის 1 ნოემბრამდე საავადმყოფო ქვეკონტრაქტორი იყო საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და



თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის, ხოლო შემდეგ 2009 წლის ბოლომდე - შპს „ვია-ვიტას“, რომელთანაც 2008 წლის 1 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება წარმოდგენილი ვერ იქნა). ანაზღაურება ხდებოდა ფაქტიური ხარჯის მიხედვით (ერთი სეანსის ღირებულება შეადგენდა 90 ლარს).

2009 წლის 27 აპრილის ცვლილებით ერთი სეანსის ღირებულება განისაზღვრა 120 ლარით, ხოლო ყოველთვიური ანაზღაურება - 90,5 ათასი ლარით. 2008 წელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 765,6 ათასი ლარი, მიღებული თანხა და მატერიალური ფასეულობები შეადგენს 761,5 ათას ლარს. ხოლო 2009 წელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1050,9 ათასი ლარი, რაც მთლიანად იქნა მიღებული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შიდა აუდიტით გამოვლინდა არასწორად მოთხოვნილი თანხები, რამაც 2008-2009 წლებში 26,8 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2010 წელს 26,6 ათასი ლარი. როგორც შპს „ვია-ვიტაზე“ გაგზავნილი წერილიდან ირკვევა (#1154/12, 25.10.2010) საავადმყოფო აღნიშნული თანხის გაქვითვას ითხოვს შემდგომი თვეების მომსახურებიდან.

3. ნეიროონკოლოგია (საავადმყოფო ქვეკონტრაქტორი იყო შ.პ.ს. ქ.თბილისის პირველი საავადმყოფოს საუნივერსიტეტო კლინიკა ნეიროქირურგის), რომელიც მოიცავს 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ონკოლოგიურ (მ.შ. ნეიროონკოლოგიურ) დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობას). 2008 წლის ხელშეკრულება წარმოდგენილი ვერ იქნა. 2008 წელს შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა 11,2 ათასი ლარი, ანაზღაურებულია სრულად.

### *სამედიცინო შემოსავლები არა სახელმწიფო პროგრამიდან*

1. სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის გარდა, საავადმყოფოს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული რევემატიული სნეულებით დაავადებულ ბავშვთა კვლევისა და რეაბილიტაციის კავშირთან, რომლის მიხედვითაც სპეციალური მიმართვით გაგზავნილ პაციენტებზე შესაბამისი სამედიცინო კონსულტაციები და ლაბორატორიული გამოკვლევები უნდა ჩაეტარებინა. 2008-2009 წლებში შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა შესაბამისად 3,3 და 3,8 ათასი ლარი, რაც ანაზღაურებულია სრულად.

2. 2008-2009 წლებში სადაზღვევო კომპანიებისაგან მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 373,4 ათასი და 1 465,0 ათასი ლარი, ხოლო ჩარიცხულია შესაბამისად 350,8 ათასი და 1397,1 ათასი ლარი.

3. ჰუმანიტარული დახმარებების სახით 2008 წელს მიღებულია მედიკამენტები 159,8 ათასი ლარის, 2009 წელს - 335,0 ათასი ლარის ღირებულებით.

სულ, 2008 წელს მიღებულმა სამედიცინო შემოსავლებმა შეადგინა 8 032,5 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს - 9 347,3 ათასი ლარი.



## 2.2. არასამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო შემოსავლების გარდა, საავადმყოფოს ჰქონდა იჯარიდან და უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

### *ქონების რეალიზაცია*

აუდირებულ პერიოდში საავადმყოფოს მიერ სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით<sup>2</sup> რეალიზებულია 14000 კვ.მ-ის ოდენობის შენობა-ნაგებობები და მათზე წილობრივად დამაგრებული 2578 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ასევე რეალიზებულია 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საავადმყოფოს მიერ მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების რეალიზება განხორციელდა აუქციონის გზით.<sup>3</sup>

2.2.1. შენობა-ნაგებობების რეალიზების პროცესი განხორციელდა გარკვეული ხარვეზებით, არასრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე. კერძოდ, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტები დათარიღებულია სხვადასხვა რიცხვით<sup>4</sup> (სავალდებულოა დოკუმენტაციის ერთობლივად წარდგენა). ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო წარდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი, განაცხადზე ხელმოწერის სათანადო რწმუნებულების დოკუმენტი, არასრულად არის გადახდილი თანხა (საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია - 35 აშშ დოლარი, შპს „ქეთევან ნემსაძისა და გურამ კიკნაძის“ კლინიკა - 10 აშშ დოლარი).

2.2.2. პირობით ჩატარებული აუქციონის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია მყიდველს პირობების შესრულების შესახებ.<sup>5</sup> აუდიტის მიმდინარეობისას საავადმყოფოს მოთხოვნის საფუძველზე 8 ობიექტის მყიდველისაგან მიღებულია წერილობითი ინფორმაცია აუქციონის პირობების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. დანარჩენ 9 ობიექტზე საავადმყოფო ინფორმაციას არ ფლობს.

### **რეკომენდაცია:**

საავადმყოფომ გაატაროს შესაბამისი ზომები მყიდველების მიერ თანხის სრულად დაფარვაზე.

<sup>2</sup> სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2008 წლის 19 მაისის #34-158/7-8 და 8 თებერვლის #34-779/7-7 წერილები

<sup>3</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 და მე-6 მუხლის პირველი პუნქტები.

<sup>4</sup> „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>5</sup> „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ მე-8 მუხლის პირველი ქვეპუნქტი.



### საიჯარო ხელშეკრულებები

2.2.3. აუდირებულ პერიოდში საავადმყოფოს საიჯარო ურთიერთობა ჰქონდა 13 ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, საიდანაც შემოსავლის სახით მიიღო 145,3 ათასი ლარი.


შპს „ტაოპრივატბანკის“ მიერ აღნიშნულ პერიოდში არ არის გადახდილი მოხმარებული ელექტროენერგიის, ხოლო შპს „მედიწვესტის“ მიერ - წყლის ღირებულება. საავადმყოფოს მთავარი ბუღალტრის განმარტებით, განხორციელდება სათანადო მრიცხველების დაყენება და ერთი თვის საშუალო ხარჯის გათვალისწინებით აღნიშნულ სუბიექტებს დაეკისრებათ დავალიანების გადახდა.

2.2.4. ზოგიერთ შემთხვევაში მოიჯარეების მიერ იჯარის თანხები გადახდილია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დაგვიანებით, რის გამოც მათზე დასაკისრებელი პირგასამტეხლო შეადგენს 5,8 ათას ლარს.

### 3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა

2008 წელს საავადმყოფოს მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 11 678,2 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს - 9508,0 ათასი ლარი. ხარჯები სახეების მიხედვით მოცემულია გრაფიკულად:

ხარჯები





3.1. 2008 წელს ვებ-გვერდის შექმნაზე გადახდილი 1,2 ათასი ლარი და 2009 წელს გადახდილი 3,8 ათასი ლარი, არამატერიალურ აქტივად აღიარების ნაცვლად ჩამოიწერა ხარჯებში<sup>6</sup>.

3.2. საავადმყოფოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს პროგრამა „ორისში“, რომელიც შეძენილია 2006 წლის 5 აპრილს. პროგრამაზე დარიცხულია ამორტიზაცია 50-50% ორი წლის განმავლობაში და შესაბამისად 2008 წლის 1 იანვრისთვის ბალანსის შესაბამის მუხლში არ არის ასახული როგორც არამატერიალური აქტივი. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს მისი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში საანგარიშო პერიოდის პროპორციულად, ხოლო თუ ამ ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ - 15%<sup>7</sup>.

#### რეკომენდაცია:

საავადმყოფომ აქტივების აღრიცხვა მოახდინოს შესაბამის ანგარიშებზე, სწორად დაარიცხოს ამორტიზაცია და შესაბამისად, სწორად განსაზღვროს მიმდინარე წლის ხარჯები.

#### სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები

3.3. 2008-2009 წლებში საავადმყოფოში შესრულებულია 1843,0 ათასი ლარის ღირებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ამ სამუშაოებზე გაწეული ხარჯების რეალობის დადგენის მიზნით, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 ოქტომბრის #157/42 ბრძანებით, დაინიშნა ექსპერტიზა - ნაწარმოები სამუშაოების შერჩევითი საკონტროლო ამომვების ჩასატარებლად. შემოწმდა საავადმყოფოს შენობის ადმინისტრაციულ ბლოკში გაწეული 435,1 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესაბამისობა, რომელიც პროექტის მთლიანი ღირებულების (1116,8 ათასი ლარის) 39%-ს შეადგენს. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შერჩევითი საკონტროლო ამომვების შედეგად გამოვლენილი ზედმეტად ნაჩვენები შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება 49,3 ათას ლარს შეადგენს, რაც შემოწმებული მოცულობის 11.32%-ია.

#### რეკომენდაცია

საავადმყოფომ იმსჯელოს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებაზე.

<sup>6</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 44. ბასს 38, არამატერიალური აქტივები.

<sup>7</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 189. ბასს 38



#### 4. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან

საავადმყოფოს, როგორც სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი ეხება მხოლოდ 2008 წელს<sup>8</sup>.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებისა და სხვა პირველადი დოკუმენტების თანახმად, 2008 წელს საავადმყოფოს მიერ განხორციელდა 2163,2 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვები.

(ათასი ლარი)

| შესყიდვის ტიპი          | რაოდენობა | ხელშეკრულების რაოდენობა | სახელშეკრულებო ღირებულება | საკასო ხარჯი |
|-------------------------|-----------|-------------------------|---------------------------|--------------|
| ტენდერი                 | 4         | 10                      | 2006,4                    | 1335,4       |
| ფასთა კოტირება          | 5         | 7                       | 293,7                     | 254,0        |
| ერთ პირთან მოლაპარაკება |           | 87                      | 599,4                     | 573,8        |

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების აუდიტისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები, კერძოდ:

4.1. საავადმყოფო არ ახორციელებდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის მექანიზმებს.

4.2. ტენდერი ჩატარებულია 1200,0 ათას ლარიან ისეთი სამუშაოს შესყიდვაზე, რაც არ იყო გათვალისწინებული შესყიდვების გეგმით. გეგმაში ცვლილება მხოლოდ ტენდერის დასრულების შემდეგ შევიდა.

4.3. 2008 წლის 10 მაისს საავადმყოფომ გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნა განცხადება საავადმყოფოს ყოფილი ადმინისტრაციული ბლოკის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 1200,0 ათას ლარს. სატენდერო წინადადებები წარმოადგინა 2 ორგანიზაციამ შპს „არტესმა“ და შპს „გზა-2002“.

შპს „გზა-2002“ დისკვალიფიცირებული იქნა საკვალიფიკაციო დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის გამო. შეფასებაზე დაშვებული იქნა და ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არტესი“, რომელთანაც 2008 წლის 6 ივნისს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 1124,7 ათას ლარზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 6 ივნისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით შემცირებული იქნა სახელშეკრულებო

<sup>8</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.



ღირებულება 7,9 ათასი ლარით და სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 15 აპრილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა კი გახანგრძლივდა 2009 წლის 30 აპრილამდე.

4.4. როგორც შ.პ.ს. „არტესის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემიდან (ინფორმაცია უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ) ირკვევა, სარემონტო სამუშაოები შპს „არტესს“ საავადმყოფოში შესრულებული აქვს 2-ჯერ 2008 წლის მარტში და 2008 წლის ივნისის თვეში. რეალურად, 2008 წლის მარტის თვეში დასრულებული სარემონტო სამუშაო შეასრულა შ.პ.ს. „გზა-2002“-მა და არა შ.პ.ს. „არტესმა“, ხოლო მეორე შემთხვევაში სატენდერო წინადადება შპს „არტესს“ წარმოდგენილი ჰქონდა 2008 წლის 30 მაისს, აქედან გამომდინარე შეუძლებელია მას სარემონტო სამუშაოები საავადმყოფოში შესრულებინა 2008 წლის ივნისის თვეში.

ასეთ შემთხვევაში სატენდერო კომისიას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე უფლება ჰქონდა, მოეხდინა შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირების დისკვალიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების ნებისმიერ ეტაპზე, თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდებოდა<sup>9</sup>. ამასთან აუდიტის პერიოდში საავადმყოფოს მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „არტესის“ სხვა საკვალიფიკაციო მონაცემები, რომელშიც მარტის თვეში შესრულებულ სამუშაოდ ისევ საავადმყოფოს ასახელებს, რაც ასევე არასწორია.

4.5. როგორც მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, ორივე ორგანიზაციის დამფუძნებლები ერთი და იგივე ფიზიკური პირები იყვნენ (შპს „გზა-2002“-ის შემთხვევაში - ტარიელ ბუბუტეიშვილი (დირექტორი) წილი 34%, ამირან ულენტი 33% და ზაზა კაპანაძე 33%-ი, შპს „არტესი“-ს შემთხვევაში - ამირან ულენტი 50% და ზაზა კაპანაძე 50%-ი. დირექტორი გიორგი ჩიჩოელი. ტენდერზე კონკურენცია შეიქმნა ხელოვნურად.

4.6. 2008 წლის 3 მარტს საავადმყოფომ გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნა განცხადება საავადმყოფოს საჭიროებისათვის მედიკამენტების, ონკოლოგიური პრეპარატების, სამედიცინო დანიშნულების საგნების და სახარჯი მასალის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, საერთაშორისო ერთეულებში ტენდერის ჩატარების შესახებ. შესყიდვების ობიექტი დაყოფილი იყო 46 ლოტად. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 1091,8 ათას ლარს, მაშინ როცა ამ შესყიდვისათვის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 915,0 ათასი ლარი. სატენდერო

<sup>9</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“, დებულების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.



წინადადებები წარმოდგენილი ჰქონდა 11 ორგანიზაციას, გამარჯვებულად გამოვლინდა 8 ორგანიზაცია.

4.7. ცალკეულ შემთხვევაში მედიკამენტებისა და სამედიცინო აირის შესყიდვისას არ არის დაცული მონეტარული ზღვარი<sup>10</sup>, არ ხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ანგარიშისა და ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა<sup>11</sup>.

4.8. ადგილი ჰქონდა საავადმყოფოს მხრიდან თანხების ავანსად გადახდას, მაშინ როდესაც ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა თანხის გადახდას მიწოდებული საქონლის შესაბამისად. 2008 წელს ავანსად გადახდილმა თანხამ 1,9 ათასი ლარი შეადგინა. იმ დროს, როდესაც არ იყო სრულად მიწოდებული საქონელი ან შესრულებული მომსახურება, საავადმყოფოს მხრიდან არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, რაც 2,3 ათას ლარს შეადგენდა. საავადმყოფოს მხრიდან თანხა გადახდილია სრულად.

ანალოგიური სახის დარღვევები გამოვლინდა 2009 წლის ხელშეკრულებების შემოწმებისას: ავანსად გადახდილმა თანხამ 3,8 ათასი ლარი შეადგინა; ხოლო დასარიცხი პირგასამტეხლოს თანხამ 26,5 ათასი ლარი.

#### რეკომენდაცია:

საავადმყოფომ დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, არ დაუშვას ავანსის გადახდა მაშინ, როდესაც ამას არ ითვალისწინებს ხელშეკრულება და თანხების დროულად ამოღების მიზნით იმსჯელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვაზე.

#### 5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვისა და განკარგვის მდგომარეობა

საავადმყოფოში მედიკამენტები აღირიცხება ცენტრალიზებულად, საავადმყოფოს აფთიაქის საშუალებით. მიღებული წამლები აღირიცხება აფთიაქის შემოსავალში, ხოლო გადაცემა ცალკეულ დეპარტამენტზე ხორციელდება დეპარტამენტების მოთხოვნის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

<sup>10</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი.

<sup>11</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი.



| დასახელება                    | ნაშთი<br>01.01.08 | შემოსავალი       | გასავალი         | ცვეთა            | ნაშთი<br>01.01.10 |
|-------------------------------|-------------------|------------------|------------------|------------------|-------------------|
| მიწა                          | 686,964           | 0                | 125,942          | 0                | 561,022           |
| შენობა                        | 1,875,476         | 1,895,766        | 470,546          | 281,438          | 3,019,258         |
| ტრანსპორტი                    | 0                 | 73,790           | 0                | 22,694           | 51,096            |
| მანქანა-დანადგარები           | 1,473,788         | 1,444,631        | 140,149          | 930,178          | 1,848,092         |
| ოფისის აღჭურვილობა            | 19,524            | 198,798          | 0                | 69,896           | 148,426           |
| სხვა                          | 0                 | 90,803           | 0                | 13,620           | 77,183            |
| <b>სულ ძირითადი საშუალება</b> | <b>4,055,752</b>  | <b>3,703,788</b> | <b>736,637</b>   | <b>1,317,826</b> | <b>5,705,077</b>  |
| მედიკამენტები                 | 278,765           | 4,310,341        | 3,462,540        |                  | 1,126,566         |
| მასალები                      | 6,450             | 477,672          | 434,371          |                  | 49,751            |
| <b>სულ მასალები</b>           | <b>285,215</b>    | <b>4,788,013</b> | <b>3,896,911</b> |                  | <b>1,176,317</b>  |

5.1. ძირითადი საშუალებები და მასალები ასევე მიიღება ცენტრალიზებულად, საწყობში შემოსავალში აღრიცხვით. გაცემა ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ვიზირებული მოთხოვნისა და გასავლის ზედდებულის საფუძველზე. არის შემთხვევები, როდესაც საწყობის გვერდის ავლით, პირდაპირ თანამშრომლებზე ან დეპარტამენტზე გაიცემა სხვადასხვა მატერიალური ფასეულობი ან დამონტაჟდა შენობაზე და დაენერა მის ღირებულებას.

5.2. 2008 წელს ჩატარდა 1 053,6 ათასი ლარის, ხოლო 2009 წელს - 789,5 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები, რომელიც კაპიტალიზებულ იქნა და დაენერა შენობის ღირებულებას. 52,6 ათასი ლარის ღირებულების შენობა, რომელიც 2007 წელს ამოღებულ იქნა საწესდებო კაპიტალიდან, 2008 წელს ისევ შეტანილ იქნა საწესდებო კაპიტალში.

5.3. 2009 წელს საავადმყოფოში, სამინისტროს წერილის საფუძველზე, რეგიონებში მზარდი პანდემიური საფრთხის გათვალისწინებით, გადასცა ხელოვნური სუნთქვის აპარატები შპს „ძმები ზუბალაშვილების სახელობის პედიატრიულ კლინიკას“ და შპს „ახალქალაქის საავადმყოფოს“, ღირებულებით 24,7 ათასი ლარი.

2008 წელს საავადმყოფოში ჩატარდა საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული ინვენტარიზაცია<sup>12</sup>, რომლის შედეგად ჩამოწერილია ექსპლუატაციისათვის უვარგისი 115,2 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. დანაკლისი და ზედმეტობა არ გამოვლენილა.

5.4. 2009 წლის დეკემბერში მედიკამენტების აღრიცხვის წესის მკაცრი დაცვის მიზნით ჩატარდა საავადმყოფოს დეპარტამენტებში არსებული მედიკამენტების ფაქტიური ნაშთების სრული აღწერა<sup>13</sup>.

2009 წლის ბოლოს ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა<sup>14</sup>, ამიტომ ინვენტარიზაცია ჩატარდა აუდიტის მიმდინარეობისას<sup>15</sup>, რომლის შედეგად

<sup>12</sup> საავადმყოფოს გენერალური დირექტორის 2008 წლის 26 სექტემბრის #157 ბრძანება;

<sup>13</sup> საავადმყოფოს გენერალური დირექტორის 2009 წლის 18 დეკემბრის #270 ბრძანება;



გამოვლინდა 0,07 ათასი ლარის დანაკლისი. ხოლო 2,6 ათასი ლარის ღირებულების უანგბადის აპარატი „AIRSEP“ ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში გადაცემულია მოქალაქე ასმათ ათუაშვილზე.

### რეკომენდაცია:

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საავადმყოფომ სამეურნეო წლის ბოლოს ჩაატაროს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

## 6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან

6.1. საავადმყოფომ 2008-2009 წლებში სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოში წარადგინა ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ანგარიში ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ.

ბალანსში ასახული სარეზერვო კაპიტალი შედგება იაპონიის მთავრობის მიერ 2000 წელს საავადმყოფოსათვის გადაცემული სამედიცინო აპარატურით.

როგორც ზემოთ (მე-3 საკითხი) აღინიშნა, ბალანსში არ არის ასახული არამატერიალური აქტივები.

6.2. საავადმყოფომ მოგების გადასახადის სახით 2008 წლის შედეგების მიხედვით გადაიხადა 52,6 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით - 298,1 ათასი ლარი. 2009 წლის შედეგების მიხედვით გადახდილმა მოგების გადასახადმა შეადგინა 53,6 ათასი ლარი.

შემოსავლები არასწორადაა გაზრდილი 2008 წელს 30,6 ათასი ლარით (მე-2 საკითხი), ხოლო 2009 წელს - 7,3 ათასი ლარით (მთლიანი შემოსავლების მიმართ შესაბამისად 0.3% და 0.1%), ხოლო ხარჯები - 1,2 და 3,8 ათასი ლარით (მთლიანი ხარჯების მიმართ ორივე შემთხვევაში 0.1%). ჩატარებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისას ზედმეტად ნაჩვენები შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება, რაც კაპიტალიზებულ იქნა 49,3 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული საავადმყოფოს გრძელვადიანი აქტივების 0.9%-ია.

6.3. ზემოთ აღნიშნული საკითხის გარდა, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს საავადმყოფოს ფინანსურ მდგომარეობას 2008 და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

<sup>14</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლი;

<sup>15</sup> საავადმყოფოს გენერალური დირექტორის 2010 წლის 1 ოქტომბრის #286 ბრძანება.



6.4. ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება საავადმყოფოს საქმიანობის შეფასება ისეთი კოეფიციენტების გამოყენებით, როგორიცაა შემოსავალი ერთ აქციაზე, წმინდა მოგების მარჟა (რომელიც წარმოადგენს წმინდა მოგების ამონაგებთან ფარდობას პროცენტებში), უკუგება კაპიტალზე და საერთო უკუგება (რომლებიც განისაზღვრება, შესაბამისად, მოგების ფარდობით საწესდებო კაპიტალთან და მთლიან კაპიტალთან), მოკლევადიანი გადახდისუნარიანობა (იგივე მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები, რომლებიც წარმოადგენს მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ფარდობას), წმინდა აქტივები ერთ აქციაზე გაანგარიშებით, გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა, რომელიც წარმოადგენს საკუთარი კაპიტალისა და აქტივების ფარდობას და გვიჩვენებს მთლიანი აქტივების რა ნაწილი ფინანსდება საკუთარი კაპიტალიდან და რა ნაწილი სესხების ხარჯზე.

აღნიშნულ კოეფიციენტებზე ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

| კოეფიციენტის დასახელება                   | 2008 წ. | 2009 წ. |
|-------------------------------------------|---------|---------|
| შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარებში)          | 75.48   | 75.31   |
| წმინდა მოგების მარჟა (%)                  | 3.7     | 3.2     |
| უკუგება კაპიტალზე (%)                     | 8.88    | 8.86    |
| საერთო უკუგება (%)                        | 4.15    | 4.19    |
| მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი          | 1.65:1  | 2.26:1  |
| სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი             | 1.46:1  | 1.72:1  |
| წმინდა აქტივები ერთ აქციაზე გაანგარიშებით | 1.64    | 2.12    |
| გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა (%)    | 75.2    | 79.8    |

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს საავადმყოფო 2 829,5 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო ქონების რეალიზაციით, ხოლო 1 002,0 ათასი ლარის ხარჯი დარიცხული აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპენსაციაზე. აღნიშნული თანხების გამორიცხვით, აღნიშნული წელი ზარალით დასრულდებოდა. აქედან გამომდინარე, 2009 წლის მაჩვენებლები გაუმჯობესებული იქნებოდა.

ნაწილი IV - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.


“საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96, ასევე სასამართლოში - კანონით დადგენილი წესით.




აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები:

ქეთევან ზოზიაშვილი



ქართლოს სახვაძე



მირიან ჯორჯიაშვილი

